№ 177 მარიამობისთვე 20, კვირა    1889    მარიამობისთვე 20, კვირა № 177



| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1889    სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    1877—1889



სოფიო იოსების ასული იოსელიანისა უმორჩილესად აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 22-ს აგვისტოს, სამშაბათს, დილის ცხრა საათზე, მეორმოცე დღეს იასონ სოფრონის ძის იოსელიანის გარდაცვალებისას, გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ამაღლების ეკკლესიაში (სოლოლაკში). (1—1)



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებით სადგურში, მეცუგოვის სახლებში, რომელიც იქვე ახლოს „ხიდის“ ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—1)



## „როტონდა ტრამვაი“

ნ. ვ. ლორთქიფანიძისა.

აგვისტოს 21-ს, ორშაბათს, დიდი საგანგებო სეირნობა იქნება გამართული გამოჩენილის აკრობატების ანატოს ოჯახის მონაწილეობით. ცნობილი პიროტეხნიკი ბ-ნი ყაზაროვი აუშვებს დიდს ბრილიანტის შუშხუნას. დასასრულ აუშვებენ დიდს ჰაეროსტატს. როტონდაში შესვლა უფასოა.


ტფილისი, 19 მარიამობისთვე

ხმა გავარდა, ვითომ ბისმარკს განზრახვა აქვს კონგრესი შეჰყაროს, რომელსაც ლაპარაკი ექნება იმის შესახებ, რომ ევროპიელ სახელმწიფოთა თოფ-იარაღი აიყარონ და ამ სახით ძმურად, მშვიდობიანად გაუსწორონ ერთმანეთს ანგარიშიო. ეს ხმა ძალიან გავრცელდა, მაგრამ იმის დამჯერი კი ცოტა გამოდგა. ყველა იმასა ჰფიქრობს, რომ ბისმარკი ისეთი კაცი არ არის, რომელსაც ერთა ძმობა და სიყვარული სწამდეს, და რომ გერმანიის პოლიტიკა თავი და თავი მიზეზია ევროპის საპოლიტიკო საქმეთა აღრევისა და აშლილობისაო. ყველამ კარგად იცის, რომ ევროპა მუდამ დღე თოფ-იარაღისა და ჯარებისათვის ზრუნავს და სახელმწიფონი მუდამ დღე ემუქრებიან ერთმანეთს თავ-დასხმასა და შესევას. თოფ-იარაღის აყრა და სახელმწიფოთა ძმურად მორიგება მეტად სანატრელი საქმეა და ერთა ძმობა და სიყვარული მომავალში მოსალოდნელიც არის, მაგრამ დღევანდელი ყოფა ევროპისა ისეთია, რომ ყოვლად შეუძლებელ საქმედ მიაჩნიათ თოფ-იარაღის აყრა. სახელმწიფოთა დღევანდელი ურთიერთობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იწნებოდა და სახელმწიფოებს ერთმანეთისათვის იმდენი უსიამოვნება და ჩაგვრა მიუყენებიათ, რომ ყოვლად შეუძლებელია ესოდენი ანგარიში ერთმანეთს უთოფ-იარაღოდ გაუსწორონ. თვით გერმანიას ბევრი მტერი აუტეხნია ევროპაში, თავისი მეზობლებიც დაუჩაგრავს ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ და ყოვლად წარმოუდგენელია დაჩაგრულს მეზობლებს უთოფ-იარაღოდ აღადგენინოს თავიანთი უფლება და ან ეს დაჩაგრულები სამუდამოდ გამოესალმონ იმას, რაც გერმანიამ ხელიდგან გამოსხლიტა. რასაკვირველია, გერმანია დასთანხმდება თოფ-იარაღის აყრას, თუ რომ საფრანგეთი ქედს მოიხრის იმის წინაშე და რუსეთი-კი დაივიწყებს სლავიანებს, მაგრამ ეგ ხომ ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც არც ერთი სახელმწიფო არ დაუთმობს სხვას თავისს განონიერსა და სამართლიანს წადილს იმას, ვისაც ძალ-მომრეობა კანონად მიაჩნია და ჩვეულებად გაუხდია.

ამიტომ სრულიად მართალნი არიან ისინი, ვინც ამბობს, რომ ბისმარკს აზრადაც არ მოუვა თოფ-იარაღის აყრა, რადგანაც კარგად იცის, რომ იმისი გულ-წრფელობა არავისა სწამსო.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ ი. ცისკარაშვილს უკვე გადმოუღია ქართულს ენაზე იტალიელის მწერლის დე-ამიჩისის თხზულება „მოსწავლის დღიური“. ამ თარგმანის გამოცემას, როგორც გვითხრეს, „წერა-კითხვის საზოგადოება“ აპირებს.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: „17-ს ამ თთვისას, დილის 8 საათზე ინსტიტუტის ქუჩაზე, როტინოვის სახლებთან, მოსწამლეს ერთი მაწანწალა ქუჩის ძაღლი, რომელიც გუშინ მთელი დღე ეგდო, რადგანაც არავინ აღმოჩნდა იმის წამლები და გადამგდები. 18-ს ამ თთვისას პოლიციელს № 95 მივმართეთ და ვუთხარით, რომ გარჯილიყო და როგორმე მკვდარი ძაღლი გადაეგდებინებინა, მაგრამ ამ თხოვნიდგან არა გამოვიდარა. ამასობაში პატარა ბიჭები, ქვემოდგან მიმავალნი, წაავლებენ ხოლმე ძაღლს კუდში ხელს და ზემოკენ მიათრევენ და ზემოდგან მომავალნი ქვემოთკენ მოათრევენ. ამ სახით ძაღლის მძოვრი ქუჩაზე ხან ზემოდ, ხან ქვემოდ დასეირნობს. საზოგადოდ რიგი არ არის ქუჩაში ძაღლის მოწამვლა და იქვე დატოვება, მეტადრე ამ სიცხეებში. ვინც სწამლავს, ვგონებთ, მოვალეა ქუჩაში არ დააგდოს მძოვრი.

*** სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის შეგირდებს, 15-ს ამ თთვისას, წარმოდგენა გაუმართავთ. წარმოუდგენიათ „ძუნწი“ და „პარიკმახერისას“. თავად-აზნაურობა და გლეხობა იმდენი დასწრებია წარმოდგენაზე, რომ სკოლის დარბაზი სრულიად სავსე ყოფილა მაყურებლებით. ანტრაქტებში თითონ შეგირდები მღეროდნენ თურმე ქართულს სიმღერებს და კითხულობდნენ ქართველ პოეტების ლექსებს.

*** დუშეთი: „ივერიაში“ უკვე მოხსენებული იყო, რომ დუშეთს ესაჭიროება წიგნის მაღაზია და რომ აქ წიგნებს, მეტადრე ქართულს, ბაზარი ექნებაო. ეს გარემოება ხელ-მეორედ უნდა მოვიხსენიოთ, რადგანაც საზოგადოებაცა ჰგრძნობს უწიგნობას და სკოლების შეგირდებიც, რომლებიც დიდს გაჭირებაში არიან ხოლმე, სანამ წიგნებს ტფილისიდგან დაიბარებდენ. ზოგი მათგანი ორი, სამი და ხანდახან ექვსი თთვე უწიგნოდ დაიარება სკოლაში და ზოგი მთელს წელიწადსაც უწიგნოდ რჩება. კიდევ ვიმეორებ, რომ კარგი იქნება ჩვენმა «წერა-კითხვის საზოგადოებამ» აიჩინოს დუშეთში სანდო კაცი, მიანდოს წიგნთ საწყობის გამართვა და თავთავის დროზე წიგნები უგზავნოს გასასყიდად. აქ რომ წიგნთ-საწყობი იყოს, ახლო-მახლო სოფლების სკოლებიც ისარგებლებენ.

*** სოფ. ახაშენი (სიღნაღის მაზრა): ამ დღეებში აქ გარდაიცვალა 16 წლის ბიჭი საკაშვილი, რომელიც ამ თთვე ნახევრის წინად ცოლ-

## ფელეტონი

### ფშავეთი და ფშაველები

(რელიგიურნი რწმენანი ფშაველებისა და იმათი ხატები)

(შემდეგი *)

ფშაველის თავდა-პირველი სალოცავი და თაყვანსაცემი ღმერთია, რომელიც არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა და ყველასი, რასაც-კი ფშაველი თვალსა და გონებას აწვდენს. მორიგეა ცისა და ქვეყნისა, უპყრია ხელთ ყოველი სულდგმული და არა სულდგმული საგნები ქვეყნისა, ანგელოზები ცისა, „საიქიოს“ ყოველი გარემოება და მიცვალებულთა სულნი.

ღმერთი, ფშაველის აზრით, ქვეყანას მარტოკა არ უვლის და არ განაგებს. ამ საქმეში იმას სხვა თანაშემწეებიცა ჰყავნან. ესენი არიან „ანგელოზები“ და „წმინდათა სულები“, მათ შორის ფშაველის სალოცავი „ხატებიც“. ყველა ანგელოზები და ხატებად გადაქცეული წმინდათა სულები ღმერთის ხელ-ქვეითები არიან და თითოეულს მათგანს, ფშაველის აზრით, ერთი რომელიმე მხარე აქვთ კაცთა ცხოვრებისა ღვთისაგან მოსავლელად მიჩემებული.

„გულთა-მხილავ“ და „თვალით ფართო“ ღმერთი ყველასა ჰხედავს, არც ერთი ცოდვა და მადლი იმას არ გამოეპარება; ყველგან და ყოველთვის მშველელია კაცისა, მაგრამ უფრო ბეჯითად და გულ-მოდგინედ მაშინა შველის, როდესაც მასთან რომელიმე „სული-წმინდა“ ანუ ანგელოზი შუამდგომლობს კაცისთვის. ანგელოზს და წმინდა სულს შველის ძალა აქვს მინიჭებული ღვთისაგან; შველისთვის ვედრება და მსხვერპლია საჭირო, უამისოდ, ფშაველის აზრით, ან სულ არ უშველიან და თუ უშველიან ისე გულ-მოდგინედ არა, როგორც მსხვერპლის შეწირვისა ანუ აღთქმის შემდეგ; ამის გამო ფშაველები ლოცულობენ და მსხვერპლსა სწირავენ მარტო ერთს ღმერთს-კი არა, არამედ ყველას, რაც-კი «ღვთის მონაწილედ» რჩეულად მიაჩნიათ, მაგალითად „სული წმინდათა“ და ანგელოზებს. ღმერთს შეუძლიან ყველა ღირსეულს მიანიჭოს თავისი ღვთაებრივი ძალა და ყველა ამ ნაირად ფშაველისაგან ღვთის რჩეულად მიჩნეული არსებაც იმისი სალოცავია ღვთისგან დაჯილდოვებულად, ღვთაებრივ ძალის მიმღებად და მქონედ ითვლება. ფშაველის ყველა სალოცავი „ხატები“, რომლებიც, ფშაველის აზრით, ოდესღაც „ხორციელები“ ყოფილან და უცხოვრიათ ფშავეთში. ამათ „ხორციელობის“ დროს უბრძოლიათ ღვთისა და ადამიანის მტერ დევების წინააღმდეგ, მაგალითად: კოპალას, იახსარს, პირქუშსა და სხვათა. ისინი, როგორც ხორციელობის დროს ღვთის მოსავნი და სამღვთო საქმის სასარგებლოდ მოამაგენი, ღვთისგან დაჯილდოვებულები იქმნენ, ღმერთმა იმათაც სხვა წმინდანებთან მისცა ადგილი, გადააქცია სიკვდილს შემდეგ «სულ-წმინდანებად» და უბოძა „ყმად“ იმ ქვეყნის (ესე იგი ფშავეთის) მკვიდრნი, სადაც ისინი სიცოცხლის დროს იღვწოდნენ. ფშაველი დღესაც თავის თავს იმათ „ყმად“ აღიარებს და ყმურს სამსახურსაც უწევს. ქრისტიანობის დროს ეკუთვნიან ფშაველისგან წმინდანებად მიჩნეული სალოცავი გმირები, თუ უფრო ძველ დროს, ამაზედ გარკვევით რისამე თქმა ძნელია, რადგან დღემდე დაცულს იმათ თაყვანის-ცემის წესებში ქრისტიანული რიგ-წესებიც ბევრია და არა ქრისტიანულიც, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ყველა ესენი ერთმანეთში არეულნი არიან.

ზოგიერთები-კი ჰფიქრობენ, რომ ფშაველის სალოცავები, მაგალითად კოპალა, იახსარი და სხვ., ფშავში ქრისტიანობის მქადაგებელი ბერები ყოფილანო. შესაძლოა ეს ასეც იყო, ხოლო ის-კი ცხადია, რომ ხსენებული გმირები, ფშაველის აზრით, ხორციელობის დროსვე არა-ჩვეულებრივის ძალ-ღონითა და ზნე-ხასიათის სიმტკიცით ყოფილან აღჭურვილები, მათ თავისი სიცოცხლე და ძალ-ღონე ხალხის მჩაგვრელ „დევ-კერპთ“ წინააღმდეგ მოუხმარიათ სულ მთლად და იმათს ამ ნაირ მოღვაწეობას ფშაველების სულიერს მდგომარეობაში კვალი ღრმად აღუბეჭდია.

ფშაველის აზრით-ხატისა და ღმერთისაგან შველა და არა-შველა წარმოსდგება თვით ფშაველისავე „ხატ-ღმერთთ“ სამსახურისგან; თუ ადამიანი „ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაჰყოფს“, უჯილდოოდ არას გააკეთებს. ხატსა და ღმერთს, როგორც ადამიანებზედ ყოველ მხრით მაღლა მდგომთ, უფრო უფლება აქვთ ჯილდო, ესე იგი მსხვერპლის, ან ნივთის შეწირვა მოსთხოვონ ფშაველს, როგორც თავის ყურ-მოჭრილ ყმას. ხატები და ღმერთი ფშაველისაგან მსხვერპლსა თხოულობენ შველისთვის და მორწმუნე ფშაველიც თავის სალოცავისთვის ყოველ გვარ შესაწირავსა და მსხვერპლს უხვად იმეტებს. შესაწირავი ოთხ ნაირია: 1) „საკლავი“: ძროხა, ცხვარი და თხა, 2) პურეული: ხმიადი და ქადა, 3) სანთელი და 4) ნივთი, ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა ან რკინისა. ნივთის შეწირვა უმსხვერპლოდ, ესე იგი საკლავის დაუკვლელად არ შეიძლება. შემწირველმა ნივთს სალოცავში საკლავიც თან უნდა მიაყოლოს. საკლავს ხევის ბერი ჩვეულებრივის დამწყალობების შემდეგ დაჰკლავს და იმის სისხლით შეწირულ ნივთს „გაჰნათლავს“. განათლება არის საკლავის სისხლის წასმა ნივთზედ, სისხლ-წასმული „განათლული“ ნივთი გაწმენდილია ყოველ გვარ უწმინდურებისაგან და მხოლოდ ასე განათლვის შემდეგ ჰხდება იგი ღირსი ხატის სალაროში დადებისა და იმის საკუთრებად ჩათვლისა.

ნივთიერ შესაწირავს შეადგენს ვერცხლის, ან სპილენძის თასები, სურები, სპილენძის თუნგები, სადედაკაცო ტანისამოსი გვირგვინისა — „კაბა-ქათიბი“, ბალდადები, ხელსახოცები, „საკადრისი“. თასებსა და სხვა ჭურჭელს სალოცავის დღეობაში სასმელის დასალევად ჰხმარობენ, ხოლო ტანისამოსი და „საკადრისები“ ცალკე კიდობანში აწყვია ხელ-შეუხებლად. ტანისამოსსა და საკადრისებს მარტო

*) იხ. „ივერია“ № 138, 139 და 140.

ფიანმა ძაღლმა დაჰკბინა. საზიალო ყმაწვილს შეძლებული მამა ჰყოლია, მაგრამ, უცოდინარობისა და დაუდევრობის გამო, ყმაწვილი ტფილისს არ წაიყვანეს საბაქტერიოლოგიო სადგურში საქიმოდ. ურიგო არ იქნება მთავრობამ დაავალოს მამასახლისებს, რომ ცოფიანის მგლისა თუ ძაღლისაგან დაკბენილებს თვალ-ყური ადევნონ და წამოადგინონ ხოლმე იგინი საბაქტერიოლოგიო სადგურზე.

*** **იქიდამვე**: სიღნაღის მაზრაში არა-ჩვეულებრივი ციებ-ცხელება მძვინვარებს და ამის გამო ხალხი ძალიან შეწუხებულია.

*** **გორი**: ჯერ იყო და „მკვდრეთით აღდგომილ“ რკინის გზის უფროსის თანაშემწე ძიმინის შესახებ გვქონდა მითქმა-მოთქმა, ეხლა-კი ციმბირიდგან გამოქცეულმა მინდიაშვილმა აგვალაპარაკა. ეს მინდიაშვილი ამ 7—8 წლის წინად «კატორგაში» გაგზავნეს 15 წლის ვადით გორის ბოქაულის სამთლიკუდაშვილის მკვლელობისათვის. იქიდგან რაღაც ნაირად გამოქცეულა, მაგრამ შეუპყრიათ და გორში გამოუგზავნიათ „ეტაპით“. პოლიციამ მინდიაშვილი ოთახში დაამწყვდია, მაგრამ ამ ოთახიდგანაც მოახერხა გაქცევა. ორი-სამი დღე იარა გორში და 18-ს ამ თვისას ძველს „პოსელენიეში“ ჩაფარმა სიმონა კარბელაშვილმა კვლავ შეიპყრო.

*** **დ. დილიჟანი**: ქართულსა და რუსულს გაზეთებში არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ფოსტის სადგურების გზა-ტკეცილის მოიჯარადრეების დაუდევრობა და უყურადღებობა მგზავრისადმი. მოიჯარადრეების გამოისობით მგზავრთ ხშირად შემთხვევიათ უსიამოვნება და ზოგჯერ უბედურებაც. აი ერთი ამისთანა შემთხვევა მოხდა გუშინ-წინ, ე. ი. კვირას, 13 ამ თვისას. ჯაჯურის გზა-ტკეცილის (გუმბრისკენ) საბაჟოს უფროსი გრანკოვსკი და დილიჟნის საბაჟოს უფროსი გოგნიაშვილი წავიდნენ სადგურად სევანის მონასტერში (რომელიც კუნძულზე სდგას ტბაში) და უკან დაბრუნებისას, სემიონოვსკის სადგურიდგან მეთოთხმეტე ვერსზე, მეეტლის უხერხულობის გამო, მოსაბრუნში, გადაუბრუნდათ ეტლი და ორივენი ძლიერ დაშავდნენ. პირველს დაუშავდა თავი და თვალი და მეორეს — მარჯვენა მკლავი. ამ უბედურებამ კინაღამ გოგნიაშვილის ცოლი არ იმსხვერპლა. ნახა რა თავისი ქმარი გულ-წასული, ორსულს ქალს გული წაუვიდა და ძლივს მოაბრუნეს. ამ შემთხვევაში დიდი ყოჩაღობა გამოიჩინა გოლოვინოვსკის საყარაულოს ურიადნიკმა ჯიოშვილმა, რომელმაც პირველი დაშავებული დილიჟნის საავადმყოფოში მოიყვანა ეტლით და მეორე მოუყვანა და ჩააბარა თავისს მეუღლეს დილიჟანში. ამ უბედურების მიზეზი მეეტლე იყო, რომელიც მეტად ყმაწვილი ბიჭია და თვეში ოთხს მანეთსა და ათ შაურს იღებს. ვგონებთ, მოიჯარადრეებს შეძლება აქვთ კარგი მეეტლეები დაიჭირონ და მეტი ჯამაგირიც დაუნიშნონ, თორემ თვეში ოთხ მანეთ ნახევრად დღეს ყოვლად შეუძლებელია მუშა კაცის შოვნა.

*** **დუშეთი**: გუშინ, 16 ამ თვისას, დუშეთის „დრუჟინა“ გამოსცადა თოფის სროლაში მთელის რუსეთის თოფის მსროლელ ჯარის ინსპექტორმა, გენერალმა ნოტბეგმა, და, როგორც თოფის სროლა, აგრეთვე მთელის „დრუჟინის“ მწყობრივი გავლა-გამოვლა ძალიან მოიწონა. ბ-ნი ინსპექტორი აღტაცებაში მოიყვანა განსაკუთრებით თოფის მიზანში სროლამ და გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ დრუჟინა სულ ცოტა ხანში ასე კარგად გავარჯიშებულიყო. ამისათვის დიდის სიამოვნებით მადლობა უძღვნა დრუჟინის კომანდირს პოლკოვნიკს ბ-ნ რილსკის, როტის კომანდირებს, აფიცრებს და თვით დრუჟინას. ამასთანავე გენერალმა სთქვა: «ასე მცირე ხანში მხოლოდ კავკასიელ ჯარის გაწვრთნა შეიძლება ეგოდენად კარგადაო». საზოგადოდ ძალიან კმაყოფილი წავიდა დუშეთიდგან ბ-ნი ინსპექტორი მცხეთას და იქიდგან თიონეთს ჯარების გამოსაცდელად.

## ტფილისელ იმერლების მდგომარეობის გამო.

ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ჩვენმა წერილმა ტფილისელ იმერლების მდგომარეობის შესახებ მიიქცია ჩვენის სახელოვანის პოეტის ბ-ნ აკაკის ყურადღება და გამოიწვია მისი პასუხი (იხ. „ივერია“ № 173). მოხარულნი ვართ ერთი იმიტომ, რომ თითონ საგანი ღირსია ყურადღებისა; მეორე — ვინ იცის, რამდენი ხანია ჩვენ ლაპარაკი ავტეხეთ მწერლობაში ამ საგნის გამო და, როგორც გვახსოვს, არავის თავისი აზრი არ წარმოუთქვამს; მესამე, — ისეთი საქმის მცოდნე და ნიჭიერის მწერალის მსჯელობა და აზრი, როგორიც ბატონი აკაკი ბრძანდება, ბევრად დაეხმარება საქმეს; მეოთხეც კიდევ ისა, რომ ბ-ნი აკაკი ბრძანდებოდა ერთი იმათგანი, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ იმერელ მოსამსახურეების საზოგადოების წესდების შედგენა და მთავრობასთან წარდგენა, და დღეს გაგვაგებინა მან, რა ბოლო ჰქონია ამ საქმეს.

რაიცა შეეხება ჩვენის მსჯელობის დაწუნებას აკაკის მიერ, ჩვენ აი რა უნდა მოვახსენოთ: ბ-ნმა აკაკიმ ძლიერ კარგად იცის ჩვენის უწინდელ წერილებიდგან ჩვენი აზრი ტფილისელ იმერლების შესახებ. იმ წერილებში, რომლებიც ცალკე გამოიცა, ჩვენ უფრო ვრცლად გვქონდა გამოკვლეული ეს საგანი; ყველა მიზეზი და გარემოება ნაჩვენები გვქონდა, რომელთაც გამოიწვიეს იმერლების გადმოსვლა ტფილისში; მოხსენებული იყო აგრეთვე, როგორც კარგი, ისე ცუდი მხარე ამ ჩვენის ცხოვრების მოვლენისა და საშუალებაც ჩვენგან იყო ნაჩვენები, თუ როგორ უნდა მოვლებოდა ამ საქმეს. უკანასკნელს მოკლე წერილში ამ საგნის შესახებ ჩვენ მხოლოდ ხელ-ახლად მოვაგონეთ ჩვენს საზოგადოებას ეს დავიწყებული საყურადღებო საგანი, არ გაგვიმეორებია, რაც წინად გვქონდა ნათქვამი და დაბეჭდილი. თავი და თავი აზრი ჩვენის უკანასკნელ წერილისა ის იყო, რომ, რადგანაც იმერლების რიცხვმა ტფილისში ამ ბოლო დროს ერთი-ორად იმატა, მოთხოვნილებას ბევრად აღემატა, ამიტომ ისინი ადგილებს ვეღარ შოულობენ, მრავალი მათგანი ცუდად რჩებიან და ამ გვარ მდგომარეობის გამო იძულებულნი არიან ცუდ საქმეში გაერივნენ, რის გამოც იღუპებიან-მეთქი. ამას კიდევ წერილის ბოლოში ის დასკვნა დავსძინეთ, რომ თუ იმათს მდგომარეობას დროზე არაფერი ეშველა, ისა სჯობია, რომ ის ახალგაზდა ძალა, რომელიც ტფილისში ამაოდ იხრწნება და იღუპება, სამშობლოში დარჩეს და შინაურს საქმეს მოხმარდეს-თქო. აი მოკლედ ჩვენი ნათქვამი. ამას გარდა ჩვენ, როცა ტფილისელ იმერლებზე ვლაპარაკობდით, მხოლოდ მოსამსახურე იმერლები გვქონდა სახეში და არა სხვები. ჩვენ საზოგადოდ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს იმის შესახებ, რომ ყველა იმერლები თავიანთ სახლში დარჩენილიყვნენ და არავინ მათგანი არსად არ წასულიყო საშრომლად, საშოვნად და მოსაგებად. ჩვენ კარგად გვესმის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზდა იმერლების აქეთ-იქით წასვლა-წამოსვლას, გამოცდილებას, შრომასა და საზოგადოდ მეცადინეობას ფულისა და ცოდნის შესაძენად. განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ დიდ-ძალი იმერლები ემსახურებიან რკინის გზაზე, გემებზე, შავის ზღვის მახლობლად სხვა-და-სხვა ქალაქში და სხვა-და-სხვა დაწესებულებებში და დიდს გამოცდილებასა და უნარსაც იძენენ? ჩვენ ეს სხვებზე ნაკლებ არ ვიცოდით, დიდადაც ვაფასებთ და სასარგებლოდ მიგვაჩნია ჩვენის ქვეყნისათვის. ამიტომ ჩვენ ამ საგანს სრულებით არ შევეხებივართ. ჩვენ, როგორც ზემოდ მოვახსენეთ, მარტო ტფილისელ მოსამსახურე იმერლებზე და იმათს სამწუხარო მდგომარეობაზე გვქონდა საუბარი, რაიცა თითონ ბ-ნ აკაკის მშვენივრად დაუსურათებია თავისს წერილში.

მაშ საკვირველია, რად არ მოსწონებია ბ-ნ აკაკის ჩვენი წერილი და საგნის შეუგნებლობას რადა გვწამებს?! ჩვენ ეს ვერაფრით ვერ ავხსენით, გარდა იმისა, რომ ბ-ნი აკაკი ცოტა აჩქარებულა, საქმესა და ჩვენ მიერ ნათქვამს კარგად არ ჩაჰკვირვებია და უმიზეზოდ განრისხებულა!

ჩვენ მაინც იმითი ვათავებთ ჩვენს პასუხს, რომ მოხარული ვართ და ვიქნებით კიდეც, თუ ტფილისელ იმერლების გაჭირვებულ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჩვენმა მწერლობამ. იქნება მაშინ მაინც რამე ეშველოს ამ საქმეს. ის საქმე, რომელიც ერთ დროს ვერ მოხერხდა, ვგონებთ ეხლა უფრო მოსახერხებელი იყოს, თუ ისინი ითავებენ, ვისაც ეს საქმე ჰქონდა მინდობილი. კარგი იქნება ითაონ ამ ბატონებმა, დანიშნონ ახალი კრება და საქმეს ხელ-ახლად შეუდგნენ.

გ. წყალტუბელი

## უცხოეთი

**ინგლისი**. ინგლისის საზოგადოებათა პალატაში, გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, ლაბუშერს მიუმართავს მთავრობისათვის და უკითხავს, რომ შეგვატყობინეთ რა დამოკიდებულება აქვს ინგლისს იტალიასთან და საზოგადოდ სამთა კავშირთანაო. მართლა ელაპარაკა მარკიზ სალუსბერი იმპერატორ ვილჰელმსა და გრაფ ბისმარკს ინგლისის მდგომარეობაზედ და ისეთს დაჰპირდა რასმე თუ არა, რომ სახელმწიფოებს ის დასკვნა გამოეყვანათ, ვითომ ინგლისი, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, სამთა კავშირს მიემხრობაო? გარეშე საქმეთა მინისტ-

---

თამარ-მეფის სალოცავში სწირავენ, უფრო გაბიდაურების თემის გათხოვილი ქალები. ფშაველის აზრით, ყველა იმათს სალოცავებს და ანგელოზებს ზეცას ღვთის კარზედ აქვთ ბინა და ქვეყანას იქიდგან უვლიან, ხოლო ის ადგილებიც, სადაც ფშავლები მათ ლოცულობენ, იმათ, ესე იგი სალოცავების, „საბძანისად“ ითვლება; იქ ხატი ზეციდგან მოფრინდება ხოლმე ლამ ღამობით, როცა კაცის ფეხი მისწყდება. ყველა ხატები, ღვთის გარდა, ემორჩილებიან და ლოცულობენ კვირაცხოველს.

ფშავლების თორმეტსავე თემს თავ-თავიანთი სალოცავები აქვს სათემოდ, და, როგორც ნათქვამია, თითოეული თემი თავის სათემო სალოცავის ყმად ითვლება. სათემო სალოცავს გარდა ყველა სოფელს თავისი საკუთარი სალოცავი აქვს, რომელიც იწოდება ადგილის დედად. ზოგიერთ სოფელს კიდე სხვა წვრილმანი სალოცავებიცა აქვსთ, ანუ, როგორც თითონ უწოდებენ, ნიშები, მაგრამ ადგილის დედას ფშაველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ადგილის დედა, ფშაველის აზრით, სოფლის მახლობელი მფარველი და მშველელი ანგელოზი უფროა, ვიდრე სხვა სალოცავები, იგი იფარავს სოფლის მცხოვრებთ ყოველ გვარის უბედურებისა და სენისაგან, საქონელს — ჭირისა და თურქულისგან, ბუნების მავნე მოვლენათაგან, მაგ., სეტყვისა, მეხისა და ქარიშხალისგან, პირუტყვს კლდეზედ გადავარდნისაგან და სხვ.

ადგილის დედად მიაჩნიათ და ამ სახელით ლოცულობენ ღვთის-მშობელს. ადგილის დედის „დღეობას“ ანუ ჯვარობას დღესასწაულობენ მომეტებულად ამაღლების, მარიამობის და აღდგომის შემდეგ უქმე დღეებში. ეს „დღეობები“ წლისაა და იმათ გარდა სოფელი ადგილის დედის სალოცავთანვე გადაიხდის სამლვთოს ხვნისა, მკისა და ლეწვის გათავების შემდეგ. როგორც ყველა სალოცავების „დღეობაში“, ისე ადგილის დედის წლიურს დღეობაშიაც მლოცველთ თავ-თავისი შესაწირავი და მსხვერპლი მიაქვსთ და დღეობაში ესწრებიან, ლოცულობენ ყველა ასაკის მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები, სამლვთო-კი უფრო მარტივი დღესასწაულია, აქ ესწრებიან მომეტებულად მუშები და მხვნელ-მთესველები; ბავშვები, დედაკაცები და მწყემსები სამლვთოში იშვიათად დაიარებიან; ამ ნაირ სამლვთოსთვის ადგილის დედის დასტურები ამზადებენ ადგილის დედის მიწაში მოყვანილ პურის ლუდსა და არაყს, მლოცველებიც ამასა სჯერდებიან და თავ-თავიანთი „ზედაშე“, რომელიც სხვა დღეობისთვის აუცილებლად საჭიროა, ამ შემთხვევისთვის იშვიათად მიაქვთ სამლვთოში. სამლვთობის დროს მარტო ერთს საკლავსა ჰკლავენ. საკლავს „სასოფლო“ ეწოდება და იმისი დაკვლა მოყვება სოფლის ყველა წევრთა შორის რიგ-რიგით: იმისს შეწირვას არ გამოიწვევს არც მკითხავის რჩევა და არც სხვა რაიმე მიზეზი.

შესაძლოა, რომ ერთს სალოცავს ადგილის დედისას რამდენიმე სოფელი ლოცულობდეს და თვით ადგილის დედაც მფარველობდეს ყველა იმათგანს საერთოდ, თუ სოფლები ეკუთვნიან ერთს თემსა და არა სხვა-და-სხვას.

ადგილის დედასა აქვს სოფლისაგან მიცემული, ანუ შეწირული რამდენიმე დღიური სახნავი მიწა, რომელსაც ადგილის დედის მლოცველები ყოველ გაზაფხულობით ჰხნავენ ამისთვის განგებ შედგენილ «ნადით». ნადისთვის სოფლისგან დანიშნულს დღეს კომლის კაცი მიდის ადგილის დედის მამულის მოსახნავად, თან მიაქვს გუთანი, ზოგიერთს ფარცხიც და, თუ ხატს წინა წელს ცუდი მოსავალი მოუვიდა და თესლი აღარ გადურჩა სასამლვთოე ლუდ-არყებს, რამდენიმე ლიტრა თესლიცა. ნადში ყველას ყევარი ანუ უღელი ხარი უბია, ასე რომ ერთსა და იმავე სახნავს მამულში ხშირად ოცი გუთანი და მეტიც მუშაობს. მხვნელნი ხატის მიწას თარგ-თარგად დაინაწილებენ და ყველანი თავ-თავის ნაწილს მოხნავენ, დასთესავენ და დაჰფარცხავენ. „ნადის“ დროსაც მარტო ერთს სასოფლო საკლავსა ჰკლავენ. ადგილის დედის ყანასაც ნადითა მკიან; ძნის მიტანა „ხატის კალოზედ“, გალეწა და პურის შენახვაც ადგილის დედის დასტურების მოვალეობაა. ადგილის დედის პურსა ჰხმარობენ სასამლვთოდ საჭირო ლუდისა და არაყისათვის, რომლებსაც ადგილის დედის დასტურები ადრევე ამზადებენ სამლვთოსთვის. ფშავლებმა ხატფხულობით იციან ერთის დღის უქმედ დადება ადგილის დედის ან სათემო ხატის პატივ-საცემლად [1]. ზოგიერთს სოფლებში ხსენებული უქმე დაიწყება ადგილის დედის სამლვთოთი, რომელსაც ხვნის გათავებისას გადაიხდიან ხოლმე ფშავლები, უწოდებენ „გუთნის სამლვთოს“ და თავდება, ანუ როგორც ფშაველი ამბობს, „აიხსნება“ ადგილის დედის ყანის მომკის დროს სამლვთოს შემდეგ.

[1]) ამ ნაირს უქმეს ფშაველი უწოდებს „ნაკვეთს“. ნაკვეთის უქმობა სხვა-და-სხვა გვარად აქვთ დაწესებული და ყველა იმათზედ დაწვრილებით ლაპარაკი გვექნება შემდეგში.

ფშავლების სალოცავები გაიყოფებიან ორ დასად: პირველი მათგანია საერთო სალოცავები, „ფშაველთ სალოცავები“, ხოლო მეორე თითოეულის თემის კერძო სალოცავები. „ფშაველთ სალოცავებს“ ყველა თემები ლოცულობენ და სწირავენ მსხვერპლს, ხოლო სათემოს მარტო თითოეული თემი. სხვა თემის კერძო სალოცავს ფშაველი ლოცულობს და მსხვერპლსა სწირავს იმ შემთხვევაში, თუ სალოცავის „მოყმეს“ თემთან რაიმე ნათესაობა აქვს, მაგალითად: რომელი თემის ქალის შვილი ანუ სიძეც არის, მოვალეა ის ხატი ილოცოს და მსხვერპლი შესწიროს. „დედის ძმათ“ ხატი მფარველია თავის ყმათა იმის დისწულებისა, მაგრამ თუ იმან შველისათვის თავი გამოიდო, მაშინ შესაძლოა სათემო ხატმა იმას საყვედურით მიჰმართოს: შენ რაღას გაეჩხირე, ვითომ მე რა ისეთი სუსტი და ძალ-მოკლებული მნახე, რომ ჩემს „ყმას“, ანუ, როგორც ამ შემთხვევისთვის, ამბობენ, «ოქროს ღილს» ვერ ვუშველოვო. თუ მაგალითად ფშავლის დედაკაცი რძალი ავად მყოფია და მარტო ქმრეულ ხატს ევედრება და სთხოვს განკურნებას, მაშინ მამის სალოცავი საყვედურს ეუბნება იმ დამცირებაზედ, რომელიც ყმის ქალმა იმას მი-

რის ამხანაგს ფერგიუსონს უთქვამს, რომ ინგლისი არავითარის პირობით არ არის არავისთან შეკრული და ყოვლისფრით თავისუფალია, როგორც უფრო უკეთ ამჯობინებს, ისე იმოქმედოსო. არც ერთი სახელმწიფო არ არის მშვიდობიანობას მოწადინებული ისე, როგორც ინგლისიო. ლაბუშერმა უპასუხა თურმე, რომ დავკმაყოფილდებოდი მაგ სიტყვით, ფერგიუსონს რომ ეთქვა: ინგლისი, მას შემდეგ, რაც სალუსბერია მთავრობის მეთაურად, იტალიას არ დაჰპირებია, რომ ხმელთა შუა ზღვაზედ დაგიცავ და დაგიფარავ სამთა კავშირში მონაწილეობის მიღების შემდეგისაგანაო. თუ ფერგიუსონი ასე ვერ გამოაცხადებს, მაშინ აშკარა იქნება, რომ სალუსბერს სამთა მოკავშირესთან კერძო პირობა აქვს შეკრული და იმათთან ერთად საფრანგეთის დამხობას არის მოწადინებული, მით უმეტეს, რომ ამ სახელმწიფოს ეხლანდელი პრემიერი, არ ვიცი რისთვის, სიძულილით შესცქერის. ამ დროს სმიტმა გამოაცხადა თურმე ინგლისის მთავრობის სახელით, რომ ლაბუშერს არავითარი საფუძველი არა აქვს ეგრე ილაპარაკოსო.

— ლონდონის გაზეთები დაბეჯითებით გაიძახიან, ვითომ სპარსეთის შაჰის ინგლისში ყოფნამ უსარგებლოდ არ ჩაიარა ბრიტანიის ინტერესებისათვისაო. თუ ჟურნალ-გაზეთებში არ იყო მოხსენებული ზოგიერთი რამ ამის შესახებ, ეგ იმიტომ, რომ სახელმწიფო საიდუმლოს გამომჟღავნება ძალიანაც სასიამოვნო არ არისო. მაინც-კი ლონდონის ერთს გაზეთს წამოსცდა და განაცხადა, სხვათა შორის, რომ შაჰმა სთქვა: თანახმა ვარ იმის პირობა შევკრათ, რომ ინგლისის ჯარს სპარსეთზე თავისუფლად შეეძლოს სიარულიო.

სპარსეთის შაჰის აზრი ინგლისსა და საფრანგეთზე. «Times»-ის კორრესპონდენტი, რომელსაც შაჰთან უბაასნია, ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: პრინც მალკომ-ხანმა, ლონდონელმა სპარსეთის ელჩმა, შემატყობინა, რომ შაჰს უნდა თქვენი ნახვაო. ამიტომ პირდაპირ მეფის ოტელისკენ გავეშურე კოპერნიკის ქუჩაზედ. პრინცი შაჰთანვე იყო ჩემს იქ ყოფნისას და თარჯიმანობას გვიწევდა, როცა ლაპარაკი რთულს საგანზედ ჩამოვარდებოდა ხოლმე.

„მე ვიციო, სთქვა სპარსეთის შაჰმა: რომ ბევრი მეფე და ხელმწიფე გინახავთ, მაგრამ წაბაძვით კი არ მომსურვებია თქვენთან ლაპარაკი, არა! როცა თქვენ გაგიცანით ამ რამ დენისამე დღის წინად, მაშინვე გადავწყვიტე მენახეთ და მომელაპარაკნა თქვენთან. მინდოდა თქვენი აზრი შემეტყო ევროპის შესახებ, რადგან მოვალეობის გამო იძულებულნი ხართ ყველაფერს თვალ-ყური ადევნოთ. ინგლისის ერი, თავისის სამრეწველო ქალაქებით, შრომის მოყვარე მკვიდრით, საპოლიტიკო დემონსტრაციებითა და კანონის მეტის-მეტ პატივისცემით, მე ყველაზედ საუკეთესო ხალხად მიმაჩნია. უპირველეს ინგლისის ერის ჯგუფში ადამიანი იმათს ღონესა და ძლიერებას მიაქცევს ყურადღებას. თითქოს ყველა ჰკითხულობს: „რად მოსულა ეს კაცი აქა, ასეთის დიდის ამბით რად უქადებიანო?“ მე ჯერ არ მინახავს ისეთი ქვეყანა, რომელშიაც ყოველს კაცს თავისის სამშობლოს პატრონად მიაჩნდეს თავი. ინგლისელი სწორედ ამისთანაა და ამას გარდა, საკვირველია, კანონსაც პატივსა სცემს და ექვემდებარება. ჩემის თვალითა ვნახე, რომ მთელი ბრბო ხალხისა პოლიციელის ერთს ხელის გაქნევას ემორჩილებოდა და ძალიან მეოცა ეს ამბავი.

„როცა დავფიქრდები, რომ რად არის ასეთი ძლიერი ინგლისი-მეთქი, მაშინ ის დასკვნა გამომყავს ჩემის ფიქრისაგან, რომ უმეზობლობა ჰხდის ასე ძლიერსაო. როცა უკან საცქერი და საყურებელი არა გაქვს-რა, თამამად შეიძლება წინ-სვლა, და ინგლისც სრული ბატონია თავის სახლში. განსაკუთრებით მე ინგლისისა და საფრანგეთის სხვა-და-სხვაობამ გამაკვირვა. ეს ორი ერი ერთმანეთს არაფრით, სულ არაფრითა ჰგავს. ფრანგი მხიარულად გიყურებთ და არც-კი კითხულობს, რად მობრძანებულხართო. ისინი სიამოვნებენ, როცა უცხო კაცსა ჰხედავენ, არა მათებურად ჩაცმულს და არა იმათს მსგავსს სახით. ეს ერი ყოველთვის მოძრაობაშია, ყოველთვის ფაცა-ფუცშია. არც ერთს ქვეყანაში არ მოუყრია თავი იმდენს ხალხს ჩემ საცქერად, რამდენმაც საფრანგეთში მოიყარა. სადაც უნდა წავსულიყავ და რა დროსაც, ყველგან აურიცხველი ხალხი დამდევდა. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ საფრანგეთი ძალიან შეძლებული ქვეყანა უნდა იყოს. ინგლისში ამბობენ, რომ დრო ფულიაო. ფრანგებს ნება აქვთ ეს ანდაზა ასე გადააკეთონ: დრო მხიარულება და სიამოვნებააო. ეგეც კითხე კიდეც: ეს ამოდენა ხალხი რომ დამდევს, იმდენი დრო და მოცალეობა სადა აქვთ-მეთქი და მიპასუხეს, რომ შემდეგ ბევრს იმუშავებენ და დაკარგულს დროს დაიბრუნებენო. საფრანგეთი ყველაფრით გაირჩევა, განსხვავდება ინგლისისაგან: ჰაერით, რომლითაც ჰსუნთქავენ, ცით, სახლებით, ეტლებით. იქ სულ სხვა ადამიანები არიან, სხვა კაცები და ქალები. ამ განსხვავებამ სწორედ გამაშტერა. იმ აზრს დავადექი, რომ ძლიერნი არიან, შეძლებულნი, მხიარულნი და მადლიერნი თავისის ცხოვრებითა-მეთქი. ასე მგონია, უფრო ძლიერნი იქნებიან, ერთმანეთში რომ მორიგებულნი იყვნენ და უსიამოვნობა არა ჰქონდეთ-რა. ბევრს მელაპარაკნენ და უნდოდათ თავიანთი უსიამოვნება აეხსნათ, მაგრამ ვერა გავიგერა. ჩემის აზრით, ასე იმიტომ ემართებათ, რომ არ უნდათ ერთმანეთს დაემორჩილონ. პარიჟი-კი ისეთი ქალაქია, რომლისთანაც სიზმარში თუ ჰნახავს კაცი. დღესასწაულ დღეს გამოფენამ ისეთი მოქმედება იქონია ჩემზედ, რომ თავი დამავიწყა. კარნო ძალიან მომეწონა, მეტად სასიამოვნო კაცია. ამბობენ, რომ დიდად პატიოსანი კაციაო, და ადვილად დასაჯერებელიც არის. კარნოცა და იმისი მეუღლეც ძალიან ალერსიანად მომექცნენ. იმისი მეუღლეც კეთილი და ღირსეული დედაკაცია. როგორც შევნიშნე, ყველას უნდა უყვარდეს ისინი. ტირარი და სპიულერიც ძალიან მომეწონა, მშვენიერი სტუმრობა ჰქონდათ. გამიკვირდა ისეთი სიმდიდრე კარნოსასაც და სამინისტროებშიაც, მაგრამ შემდეგ ამიხსნეს, რომ პარლამენტმა გადასდო გამოფენის დროს ფული სტუმრობისა და მოწყობილობისათვისაო. ამ გარემოებამ დამაფიქრა, რადგან ისე არ მოხდა, რაც მეგონა. დიდხანს უნდა სცხოვრობდეს კაცი ამისთანა ქვეყანაში, რომ გაიგოს რამე. ჩემის აზრით, საფრთხილოა იმას უამბონ ამისთანა ამბავი, ვინც ვერ გაიგებს. დიდად მასიამოვნა შერბურგისა, საფრანგეთის სამხედრო ხომალდებისა და ჯარის ნახვამ. როცა ამისთანა ძლიერნი ერნი ერთმანეთს მტრულად შეჰყურებენ, მართველებმა ერისამ დიდი გონიერება უნდა გამოიჩინონ, რომ მშვიდობიანობა არ დაარღვიონ. ძალიან მიამა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩემ წარმომადგენელთ ევროპაში კარგად ეპყრობიან და პატივსა სცემენ“.

## გასართობი

### „სიყვარულის სახმილი“

დარიკო ძალიან ლამაზი ქალია, იცის თავისის სილამაზის ამბავი და აფასებს კიდეც. თაყვანის-მცემლები ბევრი ჰყავს, მაგრამ თითონ-კი არავის ემონება. ცოტაოდენი იმედი ისევ ჭაღარა ექიმსა აქვს და ისიც იმიტომ, რომ ყველაზედ შეძლებულია და მდიდარი. იმ დილას დარიკო ძალიან დანაღვლიანებული იყო, დარდი და ფიქრი არ ასვენებდა: რამდენისამე დღის შემდეგ დარიკოს დღეობა მოდიოდა, სტუმრები ეწვეოდნენ, მკერვალისთვის უნდა მიეცა ახალის კაბის შესაკერი, სახლის ქირაც გასტუმრებული იყო და იმის ფინანსთა სამინისტროში—ქისაში-კი არა ჭყაოდა-რა. კარგად რომ ასწონ-დასწონა საქმე, დარიკომ გადასწყვიტა, რომ ხანგრძლივ ვადით, ან სულ უვადო სესხს უნდა მივმართოვო. ფულის სესხება, რასაკვირველია, მხოლოდ ექიმისაგან-ღა შეეძლო. აი სწორედ ამ დროს დარიკოს ექიმი ეწვია. ორიოდე სიტყვით გააგებინა ყმაწვილმა ქალმა თავისი გაჭირება და სამსახურ-დაუზოგველი ექიმიც მაშინვე დაფაცურდა.

— ბევრს ვერ მოგცემთ დღეს და ათასიოდე მანეთს-კი თუნდა ნახევარ საათს შემდეგ მოგართმევთ... წავალ სახლში და ამ წუთასვე აქ დავიბადები.

— არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ გადაგიხადოთ მადლობაო, თავს ბრუ-დამხვევის ღიმილით შენიშნა დარიკომ.

— რასა ბრძანებთ, ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა, რომ... ამ წუთასაო,—სთქვა ექიმმა და ფეთიანივით გავარდა დანაპირევის ასასრულებლად.

დარიკო მოუთმენლად ელოდდა ექიმის დაბრუნებას. უსაქმობით დაუწყო ფართოერის კალათაში სადარბაზო ბარათებს ჩხრეკა, იმ ბარათებს, რომელიც თავის თაყვანის-მცემელთაგანა ჰქონდა დატოვებული.

— ახ, ეს სულ სიტყვებია, სიტყვები და სხვა არაფერი,—წამოიძახა ტურფამ და დაუწყო ცეცხლში ყრა. სიყვარულს ყველანი ადვილად გვიცხადებენ და როცა შეელაა საჭირო, მაშინ-კი ერთიც აღარ მოსდგამს ფეხს. ისევ ექიმი, თორემ სხვისა ხომ იმედი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს.

ამ დროს გოგომ წერილი მოართვა. დარიკომ წაიკითხა და ბუხარში ჩააგდო.

— კიდევ ვიღაც მიცხადებს სიყვარულს, თითქოს დიდი ფასი ჰქონდეს იმათს მხურვალე გრძნობასაო.

ერთს წუთს შემდეგ გოგომ კვლავ შემოუტანა წერილი.

დარიკომ გახსნა, წაიკითხა და ამასაც გაჯავრებით ბუხარში შეუძახა.

— „სიყვარულის სახმილი“ გწვამთ და დეე თქვენი წერილიც ბუხრის სახმილმა დასწვასა.

შემდეგ კიდევ მოართვა გოგომ ორიოდე წერილი და დარიკომ ისე შეაგდო ბუხარში, რომ არც-კი წაუკითხავს.

— მომაბეზრეს თავი ამდენის წერილებითაო, დაიწყო წუწუნი ტურფამ და გული მოსდიოდა, რომ ორის საათის წასული ექიმი ჯერ კიდევ არსადა სჩანდა.

ბოლოს ზარის ხმა გაისმა და სასტუმრო ოთახში ექიმი შემოვიდა. ექიმს სახე უბრწყინავდა და სიხარულით ხელებს იფშვნეტდა.

— აბა, ჩემო ანგელოზო, კმაყოფილი ხართ ჩემი, თუ არა? დროზედ გავაკეთე საქ-

აყენა იმით, რომ არ მიჰმართა, არ მოუწოდა საშველად და დაივიწყა. რაღა თქმა უნდა, რომ ხატების ცილობისა და თავ-მოყვარეობის გამომქვეყნებელი ფშაელების მატყუარა მკითხავები არიან, იმათი ტყუილი ხალხსაც სჯერა და ყოველ ღონესა ჰხმარობს, რომ ხატებს შორის უსიამოვნებაც მოსპოს და თავ-მოყვარეობაც დაუკმაყოფილოს ყველა იმათგანს გულ-მხურვალე ლოცვით, მსხვერპლის აღთქმით დაშეწირვით.

საერთო სალოცავები ფშაველებსა აქვთ ოთხი: 1) ლაშარის ჯვარი, 2) თამარ-მეფე, 3) ხახმატის ჯვარი და 4) კოპალა. ლაშარის ჯვარი ლაშქართ მფარველი და წინამძღვარი ხატია. ფშაველები, როდესაც «ურჯულოთ» წინააღმდეგ ომს დააპირებდნენ, წინ-და-წინ ლაშარის ჯვარს დაეკითხებოდნენ. თუ ლაშარის ჯვრის სახელზედ დასმული «ქადაგი» (იგივე მკითხავი) ფშაველებს მტერზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაშინ ყველა თემები ერთ-ხმად გადასწყვეტავდნენ გალაშქრებას, ხოლო თუ გამარჯვებას არ უწინასწარმეტყველებდნენ, მაშინ ლაშქარი დაიშლებოდა. ლაშქართ უფროსი და წინამძღვარი იყო ლაშქრის მფარველი სალოცავისავე (ლაშარის ჯვარის) პირველი ხევის-ბერი („თავ - ხევისბერი“). „თავ-ხევისბერს“ ეჭირა ხელში ლაშარის ჯვრის დროშა და წინ უძღოდა და ამხნევებდა ჯარს. ლაშარის ჯვარი, როგორც ომის ღმერთი, ფშაველს მეომარ - მხედრის სახითაცა ჰყავს წარმოდგენილი, იგი შეიარაღებული ზის ლურჯის ფერის და შავ ძუა-ფაფრიან ცხენზედ, თან დაჰყვება უხილავად თავის ყმათა ლაშქარს და სცდილობს ყველა განსაცდელისაგან დაიფაროს იგინი.

ლაშარელაის ლურჯასა,
ფაფარი ჭსხვაის გიშლისა[1]),
შაჯდება, გაემართება,
კოტორ გაჭჭეება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.

ლაშქრობა და „ურჯულოთ“ რბევა, მეტადრე ძველ დროში, ფშაველისთვის თავდაპირველი სამღვთო და სასიქადულო საქმე იყო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ხატი და იმისი ხევისბერი სხვა ხატზედ და იმის ხევის-ბერებზედ უფრო მეტად პატივცემული და გავლენიანია და იყო მეტადრე ძველ დროში. ლაშარის ჯვარსა და იმის ხევის-ბერს, როგორც მტრიანობის დროს, ისე ფშაველის შინაურს ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონია და ეს მნიშვნელობა დღესაც შესამჩნევად შემცირებული არ არის.

[1]) გიშრისა

ფშაველების ერთობა და შინაური წესწყობილება იმათის სალოცავებისა, მეტადრე ლაშარის ჯვარისა, სამსახურზედ იყო და არის დღესაც დამყარებული. თემისგან გადგომილი და მოღალატე მოღალატეა ხატისაცა და ხატის მოღალატე თემისაც მოღალატეა. ლაშარის ჯვარის თავ - ხევისბერი მარტო ომში არ იყო ხალხის მეთაური, ის იყო ხალხის მსაჯულიც. ხევის-ბერები, ლაშარის ჯვარის ხევის-ბერის მეთაურობით, ასამართლებდნენ და სწყვეტავდნენ ლაშარის ჯვარის ყმებთა შორის ატეხილს დავებს თვით ლაშარის გორზედვე, სადაც ლოცულობდნენ ლაშარის ჯვარს. ლაშარის ჯვარს მარტო ფშაველები არა ლოცულობენ. იმას ლოცულობენ ხევსურები, თუშები, ჰერთალელი მთიულები და ქართველები სოფელ ყვარელიდგან. როგორც ფშაველები ამბობენ, ლაშარის ჯვარს თუშები ლოცულობენ იმის შემდეგ, როცა ფშაველებსა და თუშებს ხოშარაში ომი ჰქონდათ და თუშები დამარცხდნენ. მაშინ ერთად-ერთმა «მოამბედ» წასულმა თუშმა, გვარად თილისძემ, ლაშქრობას „თეთრი კორა“ ხარი მოუყვანა ლაშარს თუშებისაგან გამოგზავნილი და შერიგება სთხოვა ფშაველებს. ფშაველები დაყაბულებულან და ორივე მხარეს ფიცით აღუთქვამს ერთმანეთისათვის მშვიდობიანობა და ყოველ გაჭირებაში შველა. ამას შემდეგ თუშებსაც ვალად დასდებიათ ლაშარის ჯვარის ლოცვა და თუშ. ფშაველებს შორისაც შული მოსპობილა. რა მიზეზით დაუწყიათ ლაშარის ჯვარის ლოცვა ხევსურებსა და მთიულებს, ამაზედ ხალხში ვერაფერი გადმოცემა ვერ ვიპოვეთ[2]). ფშავი და ლაშარის გორა საშუალო ალაგია თუშ ფშავ-ხევსურეთისა და სალაშქრო ბჭობა ამ სამ ძმა-მეზობელთა შორის ლაშარის გორზედ მოხდებოდა თურმე ძველ დროში. შესაძლოა ამ თათბირსა და ლაშქრობაში მთიულებსაც მონაწილეობა მიეღოთ და იმათაც, როგორც თუშებსა და ფშაველებს, ერთმანეთის ერთგულობაზედ და სალოცავის სამსახურზედ ფიცი მიეცეთ ლაშარის ჯვარში. ქრისტიანე მთიულთ შორის ერთსულობასა და ერთგულობას საჭიროება თხოულობდა, ხოლო ყველა ამის დამტკიცება და დამკვიდრება მათ შორის სალოცავებით შეიძლებოდა. ესვევ უნდა იყოს მიზეზი, ჩემის ფიქრით, იმისაც, რომ ფშაველებიცა ლოცულობენ მთიულების ლომისას და გუდამაყრელების ფუძის ანგელოზს.

[2]) მხოლოდ ზოგიერთები ამბობენ, რომ ხევსურები და მთიულები ძველადგანვე ფშაველებთან ძმად გაფიცულები არიან და ამის გამო ლოცულობენ იმათს სალოცავსაცაო.

ყვარელი ქართველები, როგორც ფშაველები ამბობენ, ლაშარის ჯვარს ლოცულობენ იმ მიზეზით, რომ ისინი ფშავის სოფელ ყვარადგან გადასახლებული ფშაველები არიან და, მაშასადამე, ლაშარის ჯვარის ისეთივე ყმები, როგორიც თვით ფშაველები.

ფშაველის აზრით, თამარ-მეფეს, ყველა მათის სალოცავის საზოგადო თვისებას გარდა, ის განსაკუთრებული თვისებაცა აქვს, რომ იგი უფრო დასნეულებულების მფარველი და მკურნალია. ფშაველი დარწმუნებულია, რომ წმინდა თამარ მეფე ღამ-ღამობით, როცა ყველასა სძინავს, სნეულთან უხილავად მიდის ზეციდგან და სწამლობსო; ამის გამო ავადმყოფი ფშაველი ყველა სალოცავებზედ ხშირად თამარ-მეფეს მიჰმართავს ხოლმე ვედრებითა და სთხოვს განკურნებას. იგი თავის „აქიმ-დედოფალს“ აღუთქვამს მორჩენისათვის მსხვერპლს, ან ნივთიერ შესაწირავსა და ამას გარდა კიდევ ერთ ცხვარსაც „წამლის სახსრად“. „წამლის სახსრად“ წოდებულს მსხვერპლს ფშავლები სხვა სალოცავებს არა სწირავენ, იმ მიზეზით, რომ ისინი ფშავლის საშველად მარტო ღმერთთანა შუამდგომელობენ, ხოლო თამარ-მეფე-კი, ღმერთთან შუამდგომლობას გარდა, თავის მხრითაც სწამლობს სნეულსა და ამის გამო იმას ერგება მსხვერპლს გარდა წამლის «სახსარიც».

(შემდეგი იქნება)

მე განა?—მიუბრუნდა დარიკოს და დაუწყო ხელებზედ ხანგრძლივი კოცნა.

— ახ, ექიმო, არ ვიცი რითი გადაგიხადოთ მაგიერი... თქვენ ისე დამავალეთ, ისე...

— რასა ბრძანებთ, რა სათქმელია. მომიტევეთ, რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაციებია და არა პირდაპირ ქაღალდის ფული.

— სულ ერთია, მიბოძეთ, ეხლავე გავგზავნი დასახურდავებლად.

ექიმმა თვალები გამოაცეცა და დააშტერა დარიკოს.

— როგორ თუ მიბოძეთ? აკი გამოგიგზავნეთ...

— რა?

— რა-და ფული!..

— როდის, რას ამბობთ, რომელი ფული?

— საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაცია, ბატონო!.. მოვედი სახლში, ამოვიღე სტოლიდგან ას თუმნიანი ობლიგაცია და ის იყო თქვენკენ უნდა წამოვსულიყავ, რომ დამიჭირეს: „თუ ღმერთი გწამთ, უარს ნუ გვეტყვით, ავადმყოფია და ნახეთო“... ვეღარა მოვახერხე-რა, ვიცოდი, რომ მოუთმენლად ელოდით ფულს, ჩავდე კონვერტში, თქვენი ადრესი დავაწერე და მოსამსახურის ხელით გამოვგზავნე.

— ვაიო! შესძახა დარიკომ და ეძგერა ბუხარს. ნაცრიდგან ნახშირად ქცეული წვერილა სჩანდა კონვერტისა და ათას მანათიან ობლიგაციისა.

დარიკოს გულს შემოეყარა...

# დეპეშა

19 აგვისტო

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: რადგანაც დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ავად არის, იმის საქმეთა და ქონების გამგებლობა მიანდეთ იმის უმაღლესობას ალექსანდრე იოსების ასულს და დიდს მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს.

ვენა. პარიჟის სტუდენტებმა უკვე შეადგინეს ახალი წესდება, და რაც შემთხვევა ექმნებათ, კიდევაც დააარსებენ ახალს საზოგადოებას გაუქმებულის სამკითხველო საზოგადოების მაგივრად.

ლონდონი. იმ მუშების კომიტეტმა, რომლებმაც მუშაობა შესწყვიტეს, გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც ურჩევს ყველა ხელობის მუშებს ორშაბათიდგან ხელი აიღონ მუშაობაზე, თუ შუადღემდე იმათ პირობას არ შეიწყნარებენ.

დღეს პარლამენტი დაიხურა. სეფე სიტყვის შინაარსი შემდეგია: „ინგლისისა და უცხო სახელმწიფოთა ურთიერთობა მეგობრული და მკვიდრია“. ბელგიის მეფე დასთანხმდა შეკრიბოს ბრიუსელში კონფერენცია.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მარიამობ.

| | მყიდველნი ჰსა. | გამყიდველნი ჰსა. | გაყიდული ჰსა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 264 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 247¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83½ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

იცყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაცნობებ, რომ ამა მდგომარე 1889 წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და-თექვსმეტი ვაკანსიაა თავისუფალი. მეორეში, მესამეში და მეოთხეში მხოლოდ სამ-სამი, ოთხ-ოთხი შემთხვევითი ვაკანსია იქნება მოსალოდნელი. ვისაც ყმაწვილის მიბარება სურს ხსენებულს სასწავლებელში, თხოვნა სკოლის ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს 20 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდე და თან წარმოადგინოს შემდეგი: წლოვანების მოწმობა, მოწმობავე თავად-აზნაურობისა, ანუ ქუთაისის სააზნაურო ბანკისა გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობელნი ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურთაგანნიარიან, ქუთაისის გუბერნიის ყოველ მაზრის თავად-აზნაურთ უფლება აქვთ სენაკის სასწავლებელში ყმაწვილთა მობარებისა. სახელ-მეორო ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდგან და გაგრძელდება 29-მდე, სწავლა-კი 1 სექტემბერს დაიწყება.

სკოლის ინსპექტორი ს. ყიფიანი

(5—4)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

იცყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . „ მან 10 კაპ.

თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . „ 60

თორნიკე ერისთავი . . . 1

საყმაწვილო ამბები . . . „ 40

ნინო ორბელიანის ლექსები „ 40

არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. „ 80

სურამის ციხე . . . . „ 20

გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . „ 25

ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ 40

თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . „ 50

მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . „ 25

კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . „ 40

დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . „ 15

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ყიფშიძის გამოც. . . 3 „

ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . „ 50

სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . „ 10

გულივერის მოგზაურობა . „ 50

საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა . . . . „ 15

ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . „ 15

ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . „ 15

დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . „ 10

საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . „ 45

ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . „ 75

დედა-ენა, მისივე, . . . . „ 30

ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ყიფშიძის გამოცემა . . . . . „ 50

თამარიანი, გუგუნავასი . . „ 50

ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . 3 „

რუსულ - ქართული ლექსი-

სამ გვარი სიყვარული, აკაკისა „ 30

კონი, მისივე. . . . 3 60

ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . „ 20

გულივერის მოგზაურობა . „ 50

მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . „ 30

ვაზის ობი . . . . . . „ 10

ლოცვანი, ღამბაშიძისა . . „ 30

ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „

საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. „ 40

ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . 1 50

II ნაწ. . . . . . 1 50

საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . „ 20

თამარ-ცბიერი, აკაკისა . . „ 50

სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ - მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . 3 50

---

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

# „დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაუთმობა.

საჭმელ - სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზიითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—22)

---

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—30)

---

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 » . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 » . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 » . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 » . . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 » . . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ, პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

Доз. ценз. Тифлисъ 19-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე